



სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

18 05 2015 წ.

ბრძანება № 2-78

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლაში 2014-2015 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდებისათვის დადგენილ ღონისძიებათა განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის N48/ნ ბრძანების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 01 მაისის N414 ბრძანების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2015 წლის 20 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით დანიშნული სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ:

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის თანამშრომლები –

- 1.1 ინფორმაციული მენეჯერი ნინო კავთელიშვილი;
  - 1.2. გერმანული ენის მასწავლებელი ლიანა ქინქლაძე;
  - 1.3. ბიოლოგიის მასწავლებელი კარინა გოზალოვა;
  - 1.4. გეოგრაფიის მასწავლებელი ელენე ტუმასიანი;
  - 1.5. ჩვენი საქართველოს მასწავლებელი ეკატერინე ანჯაფარიძე;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებს დაევალოთ გამოცდებამდე (20 მაისს) და შემდგომ მთელი საგამოცდო პროცესის განმავლობაში (21 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით) უზრუნველყონ გამოცდისათვის საჭირო გარემოს შექმნა სკოლაში, კერძოდ:
- 2.1. განახორციელონ მოსწავლის პირველადი საგამოცდო რეგისტრაცია;
  - 2.2. პირველადი რეგისტრაციისას მოსწავლეს ჩამოართვან ყველა ზედმეტი ნივთი და მოათავსონ ისინი წინასწარ გამოყოფილ ადგილას;
  - 2.3. შეასრულოს სკოლის დირექტორის კონკრეტული მითითებები;
  - 2.4. შეასრულოს ცენტრის თანამშრომლის მითითებები საგამოცდო პროცესთან დაკავშირებით;
3. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6);

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორი:

*Handwritten signature*



/ელზა ბადაშვილი/